

**სსბასს 24—ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა
ფინანსურ ანგარიშგებაში**

სსბასს-ის ისტორია

წინამდებარე ვერსია მოიცავს 2018 წლის 31 იანვრამდე გამოცემული სსბასს-ებით გამოწვეულ ცვლილებებს.

სსბასს 24, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში, გამოიცა 2006 წლის დეკემბერში.

მას შემდეგ სსბასს 24-ში ცვლილებები შევიდა შემდეგი სტანდარტის საფუძველზე

- *სსბასს-ების გამოყენება (2016 წლის აპრილის გამოცემა)*
- *სსბასს-ების 2015 წლის გაუმჯობესება (2016 წლის აპრილის გამოცემა)*
- *სსბასს 33, დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება, (2015 წლის იანვრის გამოცემა)*
- *სსბასს-ების 2011 წლის გაუმჯობესება (2011 წლის ოქტომბრის გამოცემა)*

სსბასს 24-ში შეცვლილი პუნქტების ცხრილი

შეცვლილი პუნქტი	ცვლილების შედეგი	ცვლილების საფუძველი
შესავალი ნაწილი	ამოღებულია	სსბასს-ის გაუმჯობესება 2011 წლის ოქტომბერი
3	შეცვლილია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
4	ამოღებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
26	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
46	შეცვლილია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
54ა	დამატებულია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი
54ბ	შეცვლილია	სსბასს-ების გაუმჯობესება, 2016 წლის აპრილი
54გ	დამატებულია	სსბასს-ების გამოყენება, 2016 წლის აპრილი
55	შეცვლილია	სსბასს 33, 2015 წლის იანვარი

სსბასს 24—ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა
ფინანსურ ანგარიშგებაში

შინაარსი

	პუნქტი
მიზანი	1
მოქმედების სფერო	2–6
განმარტებები	7–13
დამტკიცებული ბიუჯეტები	8–10
თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტი	11–12
ფაქტობრივი თანხები.....	13
ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების	
წარდგენა.....	14–38
წარდგენა და გამოქვეყნება.....	21–24
აგრეგირების დონე	25–28
თავდაპირველ ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები და საბოლოო ბიუჯეტი.....	29–30
შედარების მეთოდი.....	31–36
მრავალწლიანი ბიუჯეტები	37–38
ბიუჯეტის მეთოდის, პერიოდის და მოქმედების სფეროს	
ასახვა განმარტებით შენიშვნებში	39–46
ფაქტობრივი თანხების შედარება შედარების მეთოდით და ფაქტობრივი თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში	47–53
ძალაში შესვლის თარიღი	54–55
დასკვნის საფუძველი	
საილუსტრაციო მაგალითები	

საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი 24, ბიუჯეტის შესახებ ინფორმაციის წარდგენა ფინანსურ ანგარიშგებაში, მოცემულია პუნქტებში 1–55. ყველა პუნქტს თანაბარი ძალა აქვს. სსბასს 24 გააზრებული უნდა იყოს მისი მიზნის, დასკვნის საფუძვლების, *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობისა და საჯარო სექტორის ერთეულებისთვის ზოგადი დანიშნულების ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლების* კონტექსტში. სსბასს 3, სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები დეტალური მითითებების არარსებობის შემთხვევაში სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევის და გამოყენების საფუძველია .

მიზანი

1. წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს, რომ ბიუჯეტის შესრულების შედეგად წარმოქმნილი გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარება, ჩართული იყოს იმ ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებებში, რომლებსაც მოეთხოვებათ, ან თავად ირჩევენ მათი დამტკიცებული ბიუჯეტ(ებ)ი-ს გასაჯაროებას, რის გამოც მათ წარმოექმნებათ საჯარო ანგარიშვალდებულება. მოცემული სტანდარტი აგრეთვე მოითხოვს გეგმიურ და ფაქტობრივ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების მიზეზების ასახვას განმარტებით შენიშვნებში. ამ სტანდარტის მოთხოვნების მიმართ შესაბამისობა საჯარო სექტორის ერთეულებს საშუალებას მისცემს შეასრულონ ანგარიშვალდებულების თავიანთი მოვალეობა და (ა) დამტკიცებულ ბიუჯეტ(ებ)თან შესაბამისობისა (რისთვისაც მათ გააჩნიათ საჯარო ანგარიშვალდებულება) და (ბ) ბიუჯეტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად მათი ფინანსური შედეგების (იმ შემთხვევებში, როდესაც ბიუჯეტი(ებ)ი და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ერთი და იმავე საფუძველზე) დემონსტრირებით უფრო მეტად გამჭვირვალე გახადონ თავიანთი ფინანსური ანგარიშგება.

მოქმედების სფერო

2. ერთეულმა, რომელიც ამზადებს და წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით, უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი.
3. მოცემული სტანდარტი გამოიყენება საჯარო სექტორის ერთეულების მიმართ, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა, რომლებსაც მოეთხოვებათ ან თავად ირჩევენ საჯარო გახადონ მათი დამტკიცებული ბიუჯეტ(ებ)ი.
4. [ამოღებულია]
5. მოცემული სტანდარტი არ მოითხოვს დამტკიცებული ბიუჯეტების გასაჯაროებას, და არც იმას, რომ ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში აისახოს ინფორმაცია იმ დამტკიცებული ბიუჯეტების შესახებ, ან მოხდეს მათთან შედარება, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომი არაა.
6. ზოგიერთ შემთხვევაში, დამტკიცებული ბიუჯეტები იმგვარადაა შედგენილი, რომ საჯარო სექტორის ერთეულის მიერ კონტროლირებად ყველა საქმიანობას მოიცავს. სხვა შემთხვევებში მთავრობის ან საჯარო სექტორის სხვა ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართული კონკრეტული საქმიანობებისათვის,

საქმიანობათა ჯგუფებისათვის, ან ერთეულებისათვის შესაძლოა ცალკეული დამტკიცებული ბიუჯეტების გასაჯაროება მოითხოვებოდეს. ეს შეიძლება მოხდეს მაშინ, როდესაც (ა) მაგალითად, მთავრობის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სახელმწიფო უწყებებს ან პროგრამებს, რომლებსაც გააჩნიათ საოპერაციო საქმიანობების წარმოების ავტონომია და ადგენენ თავიანთ საკუთარ ბიუჯეტებს, ან (ბ) ბიუჯეტი შედგენილია მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის სექტორისთვის. წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ყველა იმ ერთეულისათვის, რომლებიც წარადგენს ფინანსურ ანგარიშგებას და მათთვის დამტკიცებული ბიუჯეტები ან მათი კომპონენტები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

განმარტებები

7. წინამდებარე სტანდარტში მოცემული ტერმინები გამოყენებულია შემდეგი მნიშვნელობით:

ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი გულისხმობს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის ან საკასო მეთოდს, როგორც ეს განსაზღვრულია დარიცხვის მეთოდის სსბასს–ებში და საკასო მეთოდის სსბასს–ში.

წლიური ბიუჯეტი წარმოადგენს ერთი წლისთვის დამტკიცებულ ბიუჯეტს. იგი არ მოიცავს საბიუჯეტო პერიოდის მიღმა წინასწარ გაკეთებულ შეფასებებს ან პროგნოზებს.

ასიგნება გულისხმობს საკანონმდებლო ორგანოს მიერ გაცემულ უფლებას სახსრების განაწილების, ამ ორგანოს ან მსგავსი უფლებამოსილი ორგანოს მიერ განსაზღვრული მიზნების განხორციელებისათვის.

დამტკიცებული ბიუჯეტი ნიშნავს საბიუჯეტო პერიოდში მოსალოდნელ შემოსავლებთან ან შემოსულობებთან დაკავშირებული კანონებიდან, ასიგნებების შესახებ კანონპროექტებიდან, მთავრობის დადგენილებებიდან და სხვა გადაწყვეტილებებიდან მიღებულ ხარჯების გაწევის უფლებას.

ბიუჯეტის შედგენის მეთოდი გულისხმობს ბიუჯეტისათვის დადგენილ და საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულ ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს, საკასო მეთოდს ან სხვა მეთოდს.

შედარების მეთოდი გულისხმობს ფაქტობრივი თანხებისა და დამტკიცებული ბიუჯეტის წარდგენას ერთი და იგივე იმავე ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდით, კლასიფიკაციის საფუძველზე, სუბიექტებისათვის და პერიოდისათვის.

საბოლოო ბიუჯეტი წარმოადგენს თავდაპირველ ბიუჯეტს, რომელიც კორექტირებულია ყველა რეზერვის, გარდამავალი თანხების, ტრანსფერების, ასიგნებების, დამატებითი ასიგნებების და სხვა საკანონმდებლო ან მსგავსი უფლებამოსილი ორგანოს მიერ შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც მოცემულ საბიუჯეტო პერიოდს ეხება.

მრავალწლიანი ბიუჯეტი არის ერთზე მეტი წლისათვის დამტკიცებული ბიუჯეტი. იგი არ მოიცავს საბიუჯეტო პერიოდის მიღმა წინასწარ გაკეთებულ შეფასებებს ან პროგნოზებს.

თავდაპირველი ბიუჯეტი არის საბიუჯეტო პერიოდისათვის თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტი.

სხვა სსბასს-ებში განსაზღვრული ტერმინები წინამდებარე სტანდარტში იმავე მნიშვნელობით გამოიყენება, როგორც მოცემულია სხვა სტანდარტებში და ცალკე გამოქვეყნებულ ტერმინთა განმარტებების გლოსარში.

დამტკიცებული ბიუჯეტები

8. მოცემული სტანდარტის მიხედვით დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს ერთი ან მრავალწლიანი საბიუჯეტო პერიოდის მანძილზე მოსალოდნელ შემოსავლებს ან შემოსულობებს, რომლებიც ეფუძნება მიმდინარე გეგმებსა და საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელ ეკონომიკურ გარემოს, და ხარჯებს ან გადასახდელებს, რომლებიც დამტკიცებულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ, იქნება ეს პარლამენტი თუ ხელისუფლების შესაბამისი ორგანო. დამტკიცებული ბიუჯეტი არ წარმოადგენს ისეთი მომავალი მოვლენებისა და მენეჯმენტის შესაძლო მოქმედებების შესახებ წინასწარ დაშვებების საფუძველზე გაკეთებულ შეფასებას ან პროგნოზს, რომლებსაც აუცილებელი არ არის, რომ მომავალში ჰქონდეს ადგილი. ანალოგიურად, დამტკიცებული ბიუჯეტი განსხვავდება მოსალოდნელი ფინანსური ინფორმაციისგან, რომელიც შეიძლება წარდგენილი იყოს პროგნოზის, პროექციის ან ორივეს კომბინაციით; მაგალითად, ერთწლიანი პროგნოზი და ხუთწლიანი პროექცია.
9. ზოგიერთ ქვეყანაში ბიუჯეტები შესაძლოა კანონად დარეგისტრირდეს, რაც მათი დამტკიცების პროცესის ნაწილს შეადგენს. სხვა ქვეყნებში დამტკიცება შეიძლება მოხდეს ბიუჯეტის კანონად დარეგისტრირების გარეშე. როგორც არ უნდა იყოს დამტკიცების პროცესი, დამტკიცებული ბიუჯეტის დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ სახელმწიფო ხაზინიდან ან მსგავსი დაწესებულებიდან თანხების განსაზღვრული და შეთანხმებული მიზნებისათვის გადარიცხვის

უფლებას იძლევა უფრო მაღალი საკანონმდებლო, ან სხვა შესაბამისი სახელისუფლებო ორგანო. დამტკიცებული ბიუჯეტი იძლევა თანხების განკარგვის უფლებამოსილებას გარკვეული მუხლების მიხედვით. ზოგადად, განკარგვის უფლებამოსილებად განიხილება კანონით დადგენილი ლიმიტი, რომლის ფარგლებშიც ერთეულს უწევს ფუნქციონირება. ზოგიერთ ქვეყანაში დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც ერთეულის ანგარიშვალდებულების საფუძველს წარმოადგენს, შეიძლება იყოს თავდაპირველი ბიუჯეტი, ხოლო სხვა ქვეყნებში - საბოლოო ბიუჯეტი.

10. თუ ბიუჯეტი არ მტკიცდება საბიუჯეტო პერიოდის დაწყებამდე, თავდაპირველ ბიუჯეტად ითვლება ის ბიუჯეტი, რომელიც პირველად დამტკიცდა საბიუჯეტო წლის მანძილზე.

თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტი

11. თავდაპირველი ბიუჯეტი შეიძლება მოიცავდეს წინა წლებიდან ავტომატურად, კანონის შესაბამისად გადმოტანილი ნარჩენი ასიგნებების თანხებს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში, სამთავრობო საბიუჯეტო პროცესები მოიცავს საკანონმდებლო ნორმას წინა წლების ვალდებულებების დასაფარად ასიგნებების ავტომატურად გადმოტანის შესახებ. ვალდებულებები მოიცავს მიმდინარე სახელშეკრულებო შეთანხმებების საფუძველზე შესაძლო მომავალ ვალდებულებებს. ზოგიერთ ქვეყანაში ისინი შეიძლება მოვალეობებად ან პასუხისმგებლობებად იწოდებოდეს და მოიცავდეს ასანაზღაურებელ შესყიდვის დავალებებს და ხელშეკრულებებს სადაც საქონელი ან მომსახურება ჯერ მიღებული არ არის.
12. დამატებითი ასიგნებების გამოყოფა შეიძლება აუცილებელი იყოს მაშინ, როდესაც თავდაპირველ ბიუჯეტში ადექვატურად არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, ომის ან ბუნებრივი კატაკლიზმების შემთხვევაში გასაწევი ხარჯები. გარდა ამისა, საბიუჯეტო პერიოდის მანძილზე შეიძლება წარმოიქმნას საბიუჯეტო შემოსავლების დეფიციტი და ფისკალური წლის მანძილზე პრიორიტეტების დაფინანსებაში ცვლილებების გასათვალისწინებლად შესაძლოა აუცილებელი იყოს საბიუჯეტო კატეგორიებს და ცალკეულ მუხლებს შორის შიდა ტრანსფერების განხორციელება. ამის შედეგად, შესაძლოა ფისკალური დისციპლინის შენარჩუნების მიზნით საჭირო იყოს საბიუჯეტო პერიოდში ერთეულის ან ღონისძიების დასაფინანსებლად თავდაპირველად გამოყოფილი თანხების შემცირება. საბოლოო ბიუჯეტი მოიცავს ყველა ნებადართულ ცვლილებას ან შესწორებას.

ფაქტობრივი თანხები

13. მოცემული სტანდარტი ბიუჯეტის შესრულების შედეგად წარმოიქმნილი თანხებისათვის იყენებს ტერმინს ფაქტობრივი ან ფაქტობრივი თანხა. ზოგიერთ ქვეყანაში ბიუჯეტის შედეგი, ბიუჯეტის შესრულება და მსგავსი ტერმინები შეიძლება გამოყენებული იყოს იგივე მნიშვნელობით, როგორც ტერმინები ფაქტობრივი ან ფაქტობრივი თანხა.

ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების წარდგენა

14. 21-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ერთეულმა ბიუჯეტის გეგმიური თანხების, რომლისთვისაც მას გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება, ფაქტობრივ თანხებთან შედარება უნდა წარადგინოს ან როგორც ცალკეული დამატებითი ფინანსური ანგარიშგება, ან მიმდინარე ეტაპზე, სსბასს-ების შესაბამისად წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებას უნდა დაემატოს ბიუჯეტის გეგმიური თანხების ამსახველი სვეტები. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარება საკანონმდებლო ზედამხედველობის ყველა დონეზე ცალ-ცალკე უნდა იყოს წარდგენილი:

- (ა) თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის თანხები;
- (ბ) ფაქტობრივი თანხები შედარების მეთოდით; და
- (გ) განმარტებითი შენიშვნების სახით ბიუჯეტის გეგმიურ თანხებს, რომლისთვისაც ერთეულს გააჩნია საჯარო ანგარიშვალდებულება, და ფაქტობრივ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების განმარტება, თუ ასეთი ახსნა-განმარტება არ არის მოცემული ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით გამოცემულ სხვა საჯარო დოკუმენტებში და განმარტებით შენიშვნებში ამ დოკუმენტებზე გაკეთებულია შესაბამისი მითითება.

15. თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის თანხების, ასევე ფაქტობრივი თანხების საჯაროდ ხელმისაწვდომ ბიუჯეტთან ერთად შედარების მეთოდით ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენა მოახდენს საანგარიშო ციკლის დასრულებას და ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ, იყო თუ არა რესურსები მიღებული და გამოყენებული დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად. თავდაპირველი თუ საბოლოო ბიუჯეტის ფაქტობრივ და გეგმიურ თანხებს შორის განსხვავებები (ხშირად ბუღალტრულ აღრიცხვაში იწოდება როგორც გადახრა) ინფორმაციის სისრულის თვალსაზრისით შეიძლება წარდგენილი იქნას ფინანსურ ანგარიშგებაში.

16. ბიუჯეტის ფაქტობრივ და გეგმიურ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების ახსნა-განმარტება მომხმარებლებს დაეხმარება დამტკიცებული ბიუჯეტიდან არსებითი გადახვევის მიზეზების გაგებაში, რომელზეც ერთეულს ეკისრება საჯარო ანგარიშვალდებულება.
17. ერთეულს შეიძლება მოეთხოვებოდეს ან თვითონ აირჩიოს მისი თავდაპირველი ბიუჯეტის, საბოლოო ბიუჯეტის, ან ორივე, თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის გასაჯაროება. იმ შემთხვევაში, როდესაც სავალდებულოა ორივე, თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის გასაჯაროება, კანონმდებლობა, მარეგულირებელი ინსტრუქციები ან სხვა ავტორიტეტული წყაროები ხშირად იძლევა მითითებებს იმის თაობაზე საჭიროა თუ არა 14 (გ) პუნქტის შესაბამისად ფაქტობრივ თანხებსა და თავდაპირველი ბიუჯეტის თანხებს, ან ფაქტობრივ თანხებსა და საბოლოო ბიუჯეტის თანხებს შორის არსებითი განსხვავებების ახსნა-განმარტება. ამგვარი მითითებების არარსებობის შემთხვევაში არსებითი განსხვავებები შეიძლება განისაზღვროს მაგალითად (ა) ფაქტობრივ თანხებსა და თავდაპირველ ბიუჯეტს შორის განსხვავებებზე მითითებით, სადაც ყურადღება ეთმობა თავდაპირველი ბიუჯეტის შესრულებას, ან (ბ) ფაქტობრივ თანხებსა და საბოლოო ბიუჯეტს შორის განსხვავებებზე მითითებით, სადაც ყურადღება ეთმობა საბოლოო ბიუჯეტთან შესაბამისობას.
18. ხშირ შემთხვევაში, საბოლოო ბიუჯეტი და ფაქტობრივი თანხები ერთი და იგივეა. ეს გამოწვეულია იმით, რომ საანგარიშგებო პერიოდის მანძილზე მიმდინარეობს ბიუჯეტის შესრულების მონიტორინგი და თავდაპირველი ბიუჯეტი თანდათანობით კორექტირდება ცვალებადი პირობების, გარემოებების და საანგარიშგებო პერიოდის განამავლობაში დაგროვილი გამოცდილების ასახვის მიზნით. წინამდებარე სტანდარტის 29-ე პუნქტი მოითხოვს თავდაპირველ და საბოლოო ბიუჯეტებს შორის განსხვავებების მიზეზების ახსნა-განმარტების ასახვას განმარტებით შენიშვნებში. მოცემული განმარტებითი შენიშვნები ზემოთ მე-14 პუნქტით მოთხოვნილ განმარტებით შენიშვნებთან ერთად უზრუნველყოფს იმას, რომ ერთეულს, რომლებიც ახდენენ მათი დამტკიცებული ბიუჯეტ(ებ)-ს გასაჯაროებას, ეკისრებათ საჯარო ანგარიშვალდებულება შესაბამისი დამტკიცებული ბიუჯეტის შესრულებაზე და მათთან შესაბამისობაზე.
19. მმართველობითი განხილვა და ანალიზი, საოპერაციო საქმიანობების განხილვა ან სხვა საჯარო მოხსენებები, რომლებშიც გაკეთებულია კომენტარები საანგარიშგებო პერიოდში ერთეულის ფინანსური

შედეგების და მიღწევების შესახებ და მოიცავს ფაქტობრივ და ბიუჯეტის თანხებს შორის არსებითი განსხვავებების ახსნა–განმარტებას, ხშირად ქვეყნდება ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. წინამდებარე სტანდარტის 14 (გ) პუნქტის შესაბამისად, ბიუჯეტის და ფაქტობრივ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების ახსნა–განმარტება მოცემული იქნება ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ ასახული არ არის (ა) ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამოქვეყნებულ სხვა საჯარო მოხსენებებში ან დოკუმენტებში და (ბ) ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ახდენს იმ მოხსენებებისა და დოკუმენტების იდენტიფიცირებას, რომლებშიც შეიძლება განმარტებების მოპოვება.

20. როდესაც დამტკიცებული ბიუჯეტები საჯაროდ ხელმისაწვდომია მხოლოდ ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართული ზოგიერთი ერთეულის ან ღონისძიების მიხედვით, ამ სტანდარტის მე–14 პუნქტის მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ დამტკიცებულ ბიუჯეტში ასახული ერთეულების და ღონისძიებების მიმართ. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ, მაგალითად, ბიუჯეტი მომზადებულია მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის სექტორისთვის, მე–14 პუნქტით მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნები გაკეთდება მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის სექტორთან მიმართებით.

წარდგენა და გამჟღავნება

21. ერთეული მხოლოდ იმ შემთხვევაში წარადგენს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარებას დამატებითი სვეტის სახით პირველად ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ფინანსური ანგარიშგება და ბიუჯეტი მომზადებულია შედარების მეთოდის გამოყენებით.
22. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარებები შეიძლება გაკეთდეს ცალკე ფინანსურ ანგარიშგებაში (ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება ან მსგავსი სახელწოდების ანგარიშგება), რომელიც შესულია სსბასს 1–ით დადგენილ ფინანსური ანგარიშგებების სრულ ჩამონათვალში. ალტერნატივის სახით, როდესაც ფინანსური ანგარიშგება და ბიუჯეტი მომზადებულია შედარების მეთოდის გამოყენებით, რაც გულისხმობს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების წარდგენას ბუღალტრული აღრიცხვის ერთი და იმავე მეთოდით, სუბიექტისათვის, საანგარიშგებო პერიოდისათვის და კლასიფიკაციის სტრუქტურით, სსბასს–ების შესაბამისად წარდგენილ პირველად ფინანსურ ანგარიშგებას შეიძლება დაემატოს ბიუჯეტის თანხების ამსახველი დამატებითი სვეტები. ეს დამატებითი სვეტები მოახდენს

თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის თანხების იდენტიფიცირებას და თუ ერთეული ჩათვლის საჭიროდ ბიუჯეტის გეგმიურ და ფაქტობრივ თანხებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირებასაც.

23. როდესაც ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება მომზადებული არ არის შედარების მეთოდის შესაბამისად, ცალკე ხდება ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგების წარდგენა. ასეთ შემთხვევებში, განსხვავებული მეთოდებით მომზადებული ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლების მიერ, არასწორი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიძლება განიმარტოს, რომ ბიუჯეტის შედგენის და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები განსხვავდება და რომ ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება მომზადებულია ბიუჯეტის შედგენის მეთოდით.
24. იმ ქვეყნებში სადაც ბიუჯეტების შედგენა ხდება ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდით და მოიცავს ფინანსური ანგარიშგების სრულ პაკეტს, სსბასს-ებით მოთხოვნილ ყველა ძირითად ფინანსურ ანგარიშგებას შეიძლება დაემატოს ბიუჯეტის თანხების ამსახველი დამატებითი სვეტები. ზოგიერთ ქვეყანაში დარიცხვის მეთოდით მომზადებული ბიუჯეტები შეიძლება წარდგენილი იყოს მხოლოდ ზოგიერთი ძირითადი ფინანსური ანგარიშგების ფორმით, რომლებიც სსბასს-ებით დადგენილი ფინანსური ანგარიშგების სრული პაკეტის ნაწილს შეადგენს. მაგალითად, ბიუჯეტი შეიძლება წარდგენილი იყოს ფინანსური შედეგების ანგარიშგების, ან ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგების ფორმით იმ დამატებით ინფორმაციასთან ერთად, რომელიც ასახულია დამხმარე დანართებში. ასეთ შემთხვევებში, ბიუჯეტის თანხების ამსახველი დამატებითი სვეტები შეიძლება დაემატოს ძირითად ფინანსურ ანგარიშგებას, რომლებიც აგრეთვე მიღებულია ბიუჯეტის წარდგენისათვის.

აგრეგირების დონე

25. საბიუჯეტო დოკუმენტაცია შესაძლებელია იძლეოდეს დეტალურ ინფორმაციას კონკრეტული საქმიანობების, პროგრამების ან ერთეულების შესახებ. ეს მონაცემები საკანონმდებლო ან ხელისუფლების სხვა ორგანოში წარდგენის და დამტკიცებისათვის ხშირად ფართო ჯგუფებში საერთო საბიუჯეტო კატეგორიების, საბიუჯეტო კლასიფიკაციების ან საბიუჯეტო განაყოფების ქვეშ არის აგრეგირებული. ამ ფართო ჯგუფებთან და საბიუჯეტო კატეგორიებთან ან განაყოფებთან შესაბამისობაში ბიუჯეტის

გეგმიური და ფაქტობრივი სახსრების შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება უზრუნველყოფს შედარებას საბიუჯეტო დოკუმენტაციაში იდენტიფიცირებული საკანონმდებლო ან ხელისუფლების სხვა ორგანოების ზედამხედველობის დონეზე.

26. სსბასს 3 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებსა და შეცდომები, მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში უზრუნველყოფის ისეთი ინფორმაცია, რომელიც აკმაყოფილებს ხარისხობრივ მახასიათებლებს, მათ შორის, იმას, რომ ინფორმაცია მომხმარებლების ანგარიშვალდებულების და გადაწყვეტილების მიღების საჭიროებების შესაბამისია, სამართლიანად ასახავს ერთეულის ფინანსურ მდგომარეობას, ფინანსურ შედეგებს და ფულადი სახსრების ნაკადებს, აკმაყოფილებს სხვა ხარისხობრივ მახასიათებლებს და ითვალისწინებს ზოგადი დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ ინფორმაციაზე შეზღუდვებს.
27. ზოგიერთ შემთხვევაში, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით, შესაძლოა საჭირო გახდეს დამტკიცებულ ბიუჯეტებში ჩართული დეტალური ფინანსური ინფორმაციის წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად აგრეგირება. ამგვარი აგრეგირება შესაძლოა აუცილებელი იყოს ზედმეტი ინფორმაციის თავიდან ასაცილებლად, ან საკანონმდებლო ან ხელისუფლების სხვა ორგანოების ზედამხედველობის მნიშვნელოვანი დონეების წარმოსაჩენად. აგრეგირების დონის განსაზღვრა პროფესიონალურ განსჯას მოითხოვს. სწორედ ეს პროფესიონალური მიდგომა გამოყენებული წინამდებარე სტანდარტის მიზნის და ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივი მახასიათებლების კონტექსტში, როგორც ეს მოცემულია ზემოთ მოყვანილ 26-ე პუნქტში და სსბასს 1-ის „ა“ დანართში, რომელიც ფინანსური ანგარიშგების ხარისხობრივ მახასიათებლებს აჯამებს.
28. დამატებითი საბიუჯეტო ინფორმაცია, მომსახურების სფეროში მიღწეული შედეგების შესახებ ინფორმაციის ჩათვლით, შეიძლება წარდგენილი იყოს ფინანსური ანგარიშგებისაგან განსხვავებულ დოკუმენტებში. სასურველია ფინანსურ ანგარიშგებაში გაკეთდეს ასეთი დოკუმენტების წყაროებზე მითითებები, განსაკუთრებით ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი მონაცემების არაფინანსურ მონაცემებთან და მომსახურების სფეროში მიღწეულ შედეგებთან დაკავშირების მიზნით.

ცვლილებები თავდაპირველ ბიუჯეტში და საბოლოო ბიუჯეტი

29. ერთეულმა უნდა განმარტოს, თავდაპირველ და საბოლოო ბიუჯეტებს შორის განხორციელებული ცვლილებები ბიუჯეტის შიგნით მომხდარი გადანაწილებების შედეგია, თუ სხვა ფაქტორების:

- (ა) ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტებითი შენიშვნებით; ან
- (ბ) ანგარიშში, რომელიც გამოიცა ფინანსურ ანგარიშგებამდე, ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დროს ან მასთან ერთად და ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში კეთდება მითითებები ასეთ ანგარიშებზე.

30. საბოლოო ბიუჯეტი თავდაპირველი ბიუჯეტის განახლების მიზნით საკანონმდებლო აქტებით, ან სხვა დასახელებული ავტორიტეტული წყაროებით დამტკიცებულ ყველა ცვლილებას მოიცავს. წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, საჯარო სექტორის ერთეული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ან ცალკე მოხსენებაში, რომელიც გამოქვეყნდა ფინანსურ ანგარიშგებამდე, ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნების დროს ან მასთან ერთად, აკეთებს განმარტებებს თავდაპირველ და საბოლოო ბიუჯეტებს შორის მომხდარი ცვლილებების შესახებ. ამ განმარტებების შედეგად განისაზღვრება, მაგალითად, აღნიშნული ცვლილებები თავდაპირველი ბიუჯეტის პარამეტრებში შიდა გადანაწილების შედეგია, თუ სხვა ფაქტორებითაა გამოწვეული, როგორცაა ბიუჯეტის საერთო პარამეტრების ცვლილება, სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილებების ჩათვლით. ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ხშირად კეთდება მმართველობით განხილვაში და ანალიზში, ან საოპერაციო საქმიანობების შესახებ მსგავსი ფორმის ანგარიშში, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამოიცემა, მაგრამ არ წარმოადგენს მის შემადგენელ ნაწილს. ასეთი განმარტებითი შენიშვნები შეიძლება ჩართული იყოს ბიუჯეტის ფაქტობრივი შედეგების ანგარიშებში, იმისათვის რომ გაკეთდეს ანგარიში ბიუჯეტის შესრულების შესახებ, მაშინ, როდესაც ეს განმარტებითი შენიშვნები კეთდება ცალკეულ ანგარიშებში და არა ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში კეთდება მითითებები ასეთ ანგარიშებზე.

შედარების მეთოდი

31. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების ყველა შედარება წარდგენილი უნდა იყოს ბიუჯეტთან შედარების მეთოდით.

32. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი ხარჯების შედარება წარდგენილი უნდა იყოს ბუღალტრული აღრიცხვის ერთი და იმავე მეთოდით (დარიცხვის, საკასო ან სხვა მეთოდი), ერთი და იგივე საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ერთი და იმავე ერთეულებისათვის და იმავე პერიოდისათვის, რომლისთვისაც დამტკიცებული ბიუჯეტია შედგენილი. ეს უზრუნველყოფს ფინანსურ ანგარიშგებაში ბიუჯეტთან შესაბამისობის შესახებ ინფორმაციის წარდგენას ბიუჯეტის შედგენის მეთოდით. ზოგიერთ შემთხვევაში ეს შეიძლება ნიშნავდეს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების წარდგენას ფინანსური ანგარიშგებისაგან განსხვავებული ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდით, განსხვავებული ჯგუფის საქმიანობებისათვის, განსხვავებულ ფორმატში და განსხვავებული კლასიფიკაციით.
33. ფინანსურ ანგარიშგებაში კონსოლიდირდება ერთეულის მიერ კონტროლირებული საქმიანობები და ერთეულები. როგორც ეს აღნიშნულია მე-5 პუნქტში, ცალკეული ბიუჯეტები შეიძლება დამტკიცდეს და საჯაროდ ხელმისაწვდომი გახდეს ცალკეული ერთეულების ან საქმიანობების მიხედვით, რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას შეადგენს. როდესაც ადგილი აქვს ასეთ შემთხვევას, ცალკეული ბიუჯეტები, ამ სტანდარტის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის მიზნით შესაძლოა ხელახლა იყოს შედგენილი. როდესაც ხდება ბიუჯეტის ასეთი ხელახალი შედგენა, ეს არ იწვევს ცვლილებებს დამტკიცებულ ბიუჯეტებში, ვინაიდან მოცემული სტანდარტი მოითხოვს ფაქტობრივი თანხების შედარებას დამტკიცებულ ბიუჯეტთან.
34. ერთეულებმა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის და დამტკიცებული ბიუჯეტებისთვის შეიძლება განსხვავებული ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდი დანერგონ. გარდა ამისა, ბიუჯეტები შეიძლება ფოკუსირებული იყოს, ან მოიცავდეს ინფორმაციას მომავლში გასაწევ ხარჯებზე აღებულ ვალდებულებებზე და ვალდებულებებში შეტანილ ცვლილებებზე, მაშინ როდესაც ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ინფორმაცია აქტივების, ვალდებულებების, წმინდა აქტივების/კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯების, წმინდა აქტივებში/კაპიტალში სხვა ცვლილებების და ფულადი სახსრების ნაკადების შესახებ. თუმცა, საბიუჯეტო ერთეული ან ფინანსური ანგარიშგების ერთეული ხშირად ერთი და იგივე ერთეულია. ანალოგიურად, პერიოდი, რომლისთვისაც მზადდება ბიუჯეტი და ბიუჯეტისათვის დანერგილი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მეთოდოლოგია ხშირად ასახული იქნება ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს უზრუნველყოფს საბუღალტრო სისტემის მიერ ფინანსური ინფორმაციის იმგვარად ჩაწერას და ანგარიშგებას, რომ

მმართველობისა და ანგარიშგების მიზნებისათვის გაადვილდეს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი მონაცემების შედარება, მაგალითად, საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მონიტორინგისათვის, და მთავრობისათვის, საზოგადოებისათვის და სხვა მომხმარებლებისათვის დროული და შესაბამისი ფორმით ანგარიშგებისათვის.

35. ზოგიერთ ქვეყანაში ბიუჯეტები შეიძლება მომზადდეს საკასო ან დარიცხვის მეთოდით სტატისტიკური ანგარიშგების სისტემასთან შესაბამისობაში, რომელიც მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებაში ჩართული ერთეულებისა და საქმიანობებისაგან განსხვავებულ ერთეულებს და საქმიანობებს. მაგალითად, სტატისტიკური ანგარიშგების სისტემის შესაბამისად შედგენილი ბიუჯეტები შეიძლება ფოკუსირებას ახდენდეს სახელმწიფო მმართველობის სექტორზე და მოიცავდეს ერთეულებს, რომელთა ძირითადი საქმიანობაც მთავრობის ძირითადი ან არასაბაზრო ფუნქციების განხორციელებაა, მაშინ როდესაც ფინანსური ანგარიშგება მოიცავს მთავრობის მიერ კონტროლირებად ყველა საქმიანობას, მთავრობის კომერციული საქმიანობების ჩათვლით. სსბას 22, *სახელმწიფო მმართველობის სექტორის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება*, დეტალურად განსაზღვრავს იმ სახელმწიფო მმართველობის სექტორის ერთეულის შესახებ ფინანსური ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვის მოთხოვნებს, რომელიც ნერგავს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს და ირჩევს ინფორმაციის ასეთ განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნებას. ხშირად, სსბას 22-ის მიხედვით გაკეთებული განმარტებითი შენიშვნები მოიცავს იგივე ერთეულებს, საქმიანობებს და კლასიფიკაციის საფუძვლებს, რომლებიც მიღებულია სახელმწიფო მმართველობის სექტორის სტატისტიკური ანგარიშგების მოდელების მიხედვით შედგენილ ბიუჯეტებში. ასეთ შემთხვევებში, სსბას 22-ის თანახმად, გაკეთებული განმარტებითი შენიშვნები აგრეთვე ხელს შეუწყობს ამ სტანდარტით მოთხოვნილი განმარტებითი შენიშვნების გაკეთებასაც.
36. სტატისტიკური ანგარიშგების მოდელებში სახელმწიფო მმართველობის სექტორი შეიძლება მოიცავდეს ცენტრალური, რეგიონული (შტატი/პროვინცია) და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს. ზოგიერთ ქვეყანაში ცენტრალური ხელისუფლება შეიძლება (ა) აკონტროლებდეს რეგიონული და ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს, (ბ) ახდენდეს ყველა სახელისუფლებო დონის კონსოლიდაციას ფინანსურ ანგარიშგებაში და (გ) ამზადებდეს და მოითხოვდეს დამტკიცებული ბიუჯეტის საჯარო გამოქვეყნებას, რომელიც სამივე სახელისუფლებო დონეს მოიცავს. ამ შემთხვევებში,

მოცემული სტანდარტის მოთხოვნები გამოიყენება ცენტრალური ხელისუფლების ერთეულების მიმართ. თუმცა, თუ ცენტრალური ხელისუფლება არ აკონტროლებს რეგიონულ და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოებს, მის ფინანსურ ანგარიშგებაში არ ხდება რეგიონული ან ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების კონსოლიდირება. სანაცვლოდ ხელისუფლების თითოეული დონისთვის ცალცალკე მომზადდება ფინანსური ანგარიშგება. მოცემული სტანდარტის მოთხოვნები გამოიყენება მხოლოდ სახელმწიფო ერთეულების ფინანსური ანგარიშგების მიმართ, როდესაც ხდება მათ მიერ კონტროლირებადი ერთეულების და საქმიანობების დამტკიცებული ბიუჯეტების ან ბიუჯეტების ცალკეული ქვეთავების გასაჯაროება.

მრავალწლიანი ბიუჯეტები

37. ზოგიერთი მთავრობა და სხვა ერთეულები ერთწლიანი ბიუჯეტის ნაცვლად ამტკიცებს და საჯაროდ აქვეყნებს მრავალწლიან ბიუჯეტებს. როგორც წესი მრავალწლიანი ბიუჯეტები მოიცავს წლიური ბიუჯეტების ჯგუფს ან წლიური ბიუჯეტების მიზნების ერთობლიობას. თითოეული წლიური პერიოდისათვის დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს მრავალწლიან ბიუჯეტთან დაკავშირებული საბიუჯეტო პოლიტიკის გამოყენებას მოცემული საბიუჯეტო პერიოდისათვის. ზოგიერთ შემთხვევაში, მრავალწლიანი ბიუჯეტი წინა წლების ბიუჯეტებში გამოუყენებელი ასიგნებების ნებისმიერ მომდევნო წელში გადატანას ითვალისწინებს.
38. მთავრობებს და სხვა ერთეულებს, რომლებსაც გააჩნიათ მრავალწლიანი ბიუჯეტები, შეუძლიათ გამოიყენონ განსხვავებული მიდგომები თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტების განსაზღვრისათვის იმის გათვალისწინებით, თუ როგორ მოხდა მათი ბიუჯეტის მიღება. მაგალითად თუ მთავრობამ მიიღო ორწლიანი ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს ორ დამტკიცებულ ბიუჯეტს, მაშინ შესაძლებელია თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტების განსაზღვრა ორივე წლის მიხედვით. თუ კანონის თანახმად, ორწლიანი ბიუჯეტიდან პირველი წლის გამოუყენებელი ასიგნებები შეიძლება გამოყენებული იყოს მომდევნო წელს, თავდაპირველი ბიუჯეტი მეორე საბიუჯეტო წლისთვის გაიზრდება გარდამავალი თანხების ასახვის ხარჯზე. იშვიათ შემთხვევებში მთავრობამ შეიძლება მიიღოს ორწლიანი, ან სხვა მრავალწლიანი ბიუჯეტი, რომელშიც არ იქნება დაჯგუფებული თანხები წლების მიხედვით და საჭირო გახდება ანალიზი იმის დასადგენად, თუ რომელი თანხები მიეკუთვნება კონკრეტულ ერთწლიან პერიოდს ამ სტანდარტის მიზნებიდან

გამომდინარე წლიური ბიუჯეტის განსაზღვრისათვის. მაგალითად თავდაპირველი და საბოლოო დამტკიცებული ბიუჯეტი ორწლიანი პერიოდის პირველი წლისათვის მოიცავს ორწლიანი მონაკვეთის პირველი წლის მანძილზე გაწეულ ყველა კაპიტალურ დანახარჯს, აგრეთვე იმავე წლის მიმდინარე შემოსავლებს და ხარჯებს. პირველი წლის საბიუჯეტო პერიოდში გაუხარჯავი თანხები აისახება მეორე წლის თავდაპირველ ბიუჯეტში და ეს ბიუჯეტი მასში შეტანილ ნებისმიერ ცვლილებასთან ერთად მეორე საბიუჯეტო წლის საბოლოო ბიუჯეტს შეადგენს. როდესაც მიღებულია მრავალწლიანი ბიუჯეტები, ერთეულებმა სასურველია წარმოადგინონ დამატებითი განმარტებები საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში ბიუჯეტის გეგმიურ და ფაქტობრივ თანხებს შორის ურთიერთკავშირის შესახებ.

ბიუჯეტის მეთოდის, პერიოდის და მოქმედების სფეროს ასახვა განმარტებით შენიშვნებში

39. ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს დამტკიცებულ ბიუჯეტში გამოყენებული ბიუჯეტის შედგენის მეთოდი და საბიუჯეტო კლასიფიკაციის საფუძვლები.
40. შეიძლება არსებობდეს განსხვავებები ბიუჯეტის მომზადების და წარდგენის დროს გამოყენებულ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდსა (საკასო, დარიცხვის ან მათი მოდიფიცირებული მეთოდი) და ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებულ ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდს შორის. აღნიშნულ განსხვავებებს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა და საბიუჯეტო სისტემა ახდენს ინფორმაციის დამუშავებას განსხვავებული პერსპექტივებით – ბიუჯეტი შეიძლება ყურადღებას ამახვილებდეს ფულადი სახსრების ნაკადებზე ან ფულადი სახსრების ნაკადებსა და კონკრეტულ ვალდებულებებზე, ხოლო ფინანსური ანგარიშგება ასახავს ინფორმაციას ფულადი სახსრების ნაკადების და დარიცხვების შესახებ.
41. დამტკიცებული ბიუჯეტის წარდგენის ფორმატი და კლასიფიკაციის სტრუქტურა შეიძლება აგრეთვე განსხვავდებოდეს ფინანსური ანგარიშგების ფორმატისაგან. დამტკიცებულ ბიუჯეტში მუხლების კლასიფიკაცია შესაძლოა იყოს ისეთივე, როგორც ფინანსურ ანგარიშგებაში. მაგალითად, ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის (დასაქმებულთა შრომის ანაზღაურება, საქონლისა და მომსახურების გამოყენება და ა.შ.) ან ხარჯების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით (ჯანდაცვა, განათლება და სხვა). ალტერნატიული მიდგომა გულისხმობს მუხლების ცალკული პროგრამების (მაგალითად სიღარიბის შემცირება, ან გადამდებ დაავადებათა კონტროლი) ან

საქმიანობის შედეგებთან დაკავშირებული პროგრამული კომპონენტების მიხედვით დაჯგუფებას (მაგალითად სტუდენტები, რომლებიც ამთავრებენ უმაღლესი განათლების პროგრამებს, ან კლინიკების გადაუდებელი დახმარების ფარგლებში ჩატარებული ქირურგიული ოპერაციები), რომლებიც განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების კლასიფიკაციისაგან. გარდა ამისა, მიმდინარე საქმიანობების მიმდინარე ბიუჯეტი (მაგალითად განათლება ან ჯანდაცვა) შეიძლება დამტკიცდეს კაპიტალური დანახარჯების კაპიტალური ბიუჯეტისაგან (მაგალითად ინფრასტრუქტურა ან შენობები) განცალკევებით.

42. სსბასს 1 ერთეულისაგან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების მომზადების მეთოდისა და მნიშვნელოვანი საადრიცხო პოლიტიკის დანერგვის შესახებ ინფორმაციის წარდგენას ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში. ბიუჯეტის შედგენის მეთოდისა და კლასიფიკაციის საფუძვლების შესახებ ინფორმაციის ასახვა განმარტებით შენიშვნებში, რომელიც გამოყენებულია დამტკიცებული ბიუჯეტების მომზადებისათვის და წარდგენისათვის, მომხმარებლებს დაეხმარება ბიუჯეტში და ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ბუღალტრული აღრიცხვის ინფორმაციას შორის არსებული კავშირების უკეთ გაგებაში.
43. **ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა ასახოს დამტკიცებული ბიუჯეტის პერიოდი.**
44. ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება მინიმუმ წელიწადში ერთხელ. ერთეულებს შეუძლიათ როგორც წლიური, აგრეთვე მრავალწლიანი ბიუჯეტების მიღება. როდესაც დამტკიცებული ბიუჯეტის პერიოდი განსხვავდება ფინანსური ანგარიშგების პერიოდისაგან, დამტკიცებული ბიუჯეტის პერიოდის განმარტებით შენიშვნებში ასახვა ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს დაეხმარება საბიუჯეტო მონაცემებს შორის კავშირის და ფინანსური ანგარიშგების ბიუჯეტთან შედარების უფრო კარგად გაგებაში. როდესაც დამტკიცებული ბიუჯეტის და ფინანსური ანგარიშგების პერიოდი ერთმანეთს ემთხვევა, დამტკიცებული ბიუჯეტის პერიოდის განმარტებით შენიშვნებში ასახვას გააჩნია დადასტურების სასარგებლო ფუნქცია, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ამზადებენ აგრეთვე შუალედურ ბიუჯეტებს, ფინანსურ ანგარიშგებას და მოხსენებებს.
45. **ერთეულმა ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა მოახდინოს დამტკიცებულ ბიუჯეტში შეტანილი ყველა ერთეულის იდენტიფიცირება.**

46. სსბასს ერთეულებისგან მოითხოვს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებას და წარდგენას, რომელიც ერთეულის მიერ კონტროლირებად ყველა რესურსს აერთიანებს. მთლიანი მთავრობის დონეზე სსბასს-ების შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ბიუჯეტზე დამოკიდებულ ერთეულებს და სახელმწიფო სექტორის კომერციულ ერთეულებს მოიცავს. თუმცა, როგორც ეს აღნიშნულია 35-ე პუნქტში, დამტკიცებული ბიუჯეტები, რომლებიც მომზადებულია სტატისტიკური ანგარიშგების მოდელის მიხედვით, შეიძლება არ მოიცავდეს მთავრობის მიერ კომერციულ ან საბაზრო საწყისებზე განხორციელებულ ოპერაციებს. 31-ე პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად, ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების წარდგენა ხდება შედარების მეთოდით. ბიუჯეტში შეტანილი ერთეულების შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა დაეხმარება მომხმარებლებს იმის გარკვევაში, თუ რამდენადაა მოცემული ერთეული დამოკიდებული დამტკიცებულ ბიუჯეტზე და რამდენად განსხვავდება საბიუჯეტო ერთეული ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ერთეულისაგან.

ფაქტობრივი თანხების შედარება შედარების მეთოდით და ფაქტობრივი თანხები ფინანსურ ანგარიშგებაში

47. როდესაც ფინანსური ანგარიშგება და ბიუჯეტი არ არის მომზადებული შედარების მეთოდით, შედარების მეთოდით წარდგენილი ფაქტობრივი თანხები, 31-ე პუნქტის შესაბამისად, უნდა შეედაროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ფაქტობრივ თანხებს, რომლებიც ქვემოთ არის მოცემული და ცალკე უნდა მოხდეს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდის, დროის და ერთეულების მიხედვით განსხვავებების იდენტიფიცირება:

- (ა) თუ ბიუჯეტი შედგენილია დარიცხვის მეთოდით, მთლიანი შემოსავლები, მთლიანი ხარჯები, და ფულადი სახსრების წმინდა ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებიდან; ან
- (ბ) თუ ბიუჯეტი შედგენილია დარიცხვის მეთოდის გარდა სხვა მეთოდით, წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებიდან.

შედარება უნდა აისახოს უშუალოდ ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში, ან ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

48. შედარების მეთოდთან შესაბამისობაში იდენტიფიცირებულ ფაქტობრივ თანხებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ ფაქტობრივ თანხებს შორის განსხვავებები პრაქტიკული თვალსაზრისით შესაძლებელია კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

- (ა) ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდებში განსხვავებები, რასაც ადგილი აქვს მაშინ, როდესაც დამტკიცებული ბიუჯეტი მომზადებულია ბუღალტრული მეთოდისაგან განსხვავებული მეთოდით. მაგალითად თუ ბიუჯეტი მომზადებულია საკასო ან მოდიფიცირებული საკასო მეთოდით, ხოლო ფინანსური ანგარიშგება კი დარიცხვის მეთოდით;
- (ბ) დროში განსხვავებები, როდესაც საბიუჯეტო პერიოდი განსხვავდება ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული საანგარიშგებო პერიოდისაგან; და
- (გ) ერთეულებში განსხვავებები, როდესაც ბიუჯეტში გამოტოვებულია ის პროგრამები და ერთეულები, რომლებიც იმ ერთეულის ნაწილია, რომლისთვისაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება.

აგრეთვე შეიძლება არსებობდეს განსხვავებები ფინანსური ანგარიშგების და ბიუჯეტის წარდგენისათვის გამოყენებულ კლასიფიკაციის სტრუქტურაში და ფორმატებში.

49. მოცემული სტანდარტის 47-ე პუნქტში მოთხოვნილი შედარება ერთეულს საშუალებას მისცემს უკეთესად შეასრულოს თავისი ანგარიშვალდებულების მოვალეობა ბიუჯეტის შედგენის მეთოდით წარდგენილ და ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ფაქტობრივ თანხებს შორის არსებული განსხვავებების ძირითადი წყაროების იდენტიფიცირებით. მოცემული სტანდარტი ხელს არ უშლის ყველა ძირითადი ჯამის ან შუალედური ჯამის შედარებას, ან ყველა ჯგუფის საბიუჯეტო მუხლების შედარებას, რომლებიც წარდგენილია ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარებაში ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ ეკვივალენტურ თანხებთან ერთად.

50. ზოგიერთ ერთეულს, რომელიც საბიუჯეტო დოკუმენტაციისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის ბუღალტრული აღრიცხვის ერთი და იგივე მეთოდს იყენებს მხოლოდ ბიუჯეტის ფაქტობრივ თანხებსა და ფინანსურ ანგარიშგებაში მათ ეკვივალენტურ თანხებს შორის განსხვავებების იდენტიფიცირება მოეთხოვება. ამას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია (ა) ერთი და იმავე პერიოდისათვის, (ბ) მოიცავს ერთი და იგივე ერთეულებს და (გ) წარდგენილია ერთი და იგივე ფორმატით.

ასეთ შემთხვევებში შედარება სავალდებულო არაა. სხვა ერთეულებისთვის, რომლებიც ბიუჯეტის და ფინანსური ანგარიშგებისთვის ბუღალტრული აღრიცხვის ერთი და იგივე მეთოდს იყენებს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს განსხვავებებს წარდგენის ფორმატთან, ანგარიშვალდებულ ერთეულებთან ან საანგარიშგებო პერიოდთან მიმართებში; მაგალითად, დამტკიცებული ბიუჯეტი შეიძლება ფინანსური ანგარიშგებებისგან განსხვავებული წარდგენის ფორმატს ან კლასიფიკაციას იყენებდეს, შეიძლება მოიცავდეს მხოლოდ ერთეულის არაკომერციულ საქმიანობებს, ან იყოს მრავალწლიანი ბიუჯეტი. შედარების საჭიროება დგება მაშინ, როდესაც არსებობს განსხვავებები წარდგენის, დროის ან ერთეულის მიხედვით ერთი და იგივე ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდით მომზადებულ ბიუჯეტს და ფინანსურ ანგარიშგებას შორის.

51. ერთეულები, რომლებიც დამტკიცებული ბიუჯეტის წარდგენისათვის ბუღალტრული აღრიცხვის საკასო მეთოდს იყენებს (ან მოდიფიცირებულ საკასო ან მოდიფიცირებულ დარიცხვის მეთოდს) და ფინანსური ანგარიშგებისათვის კი დარიცხვის მეთოდს, ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში წარდგენილი ძირითადი ჯამები შეედრება საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებიდან წარმოქმნილ ფულადი სახსრების წმინდა ნაკადებს, როგორც ეს სსბასს 2-ის, *ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება*, შესაბამისად წარდგენილია ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში.
52. **წინამდებარე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად, წინა პერიოდთან მიმართებაში შედარებითი ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა არ მოითხოვება.**
53. მოცემული სტანდარტი მოითხოვს, ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარება შეტანილ იქნეს ისეთი ერთეულების ფინანსურ ანგარიშგებაში, რომლებიც ახდენს თავიანთი დამტკიცებული ბიუჯეტ(ებ)ის გასაჯაროებას. სტანდარტი არ მოითხოვს წინა პერიოდის ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების განმარტებით შენიშვნებში ასახვას, ისევე როგორც წინა პერიოდის გეგმიურ და ფაქტობრივ თანხებს შორის განსხვავებებთან დაკავშირებული განმარტებების ასახვას მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

ძალაში შესვლის თარიღი

54. ერთეულმა უნდა გამოიყენოს წინამდებარე სტანდარტი 2009 წელს ან მას შემდეგ დაწყებული პერიოდისათვის მომზადებული წლიური

ფინანსური ანგარიშგებისათვის. რეკომენდებულია ადრეული გამოყენება. თუ რომელიმე ერთეული ამ სტანდარტს 2009 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისათვის იყენებს, მან ეს ფაქტი უნდა გაამჟღავნოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში.

- 54ა. 55-ე პუნქტი შეიცვალა სსბასს 33-ის, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, 2015 წლის იანვარში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილება წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება ნებადართულია. თუ ერთეული იყენებს სსბასს 33-ს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, ამ ადრინდელი პერიოდისთვის ასევე უნდა იქნას გამოყენებული აღნიშნული ცვლილება.
- 54ბ. 26-ე პუნქტი შეიცვალა 2015 წლის სსბასს-ების გაუმჯობესების 2016 წლის აპრილში გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს ეს ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული იყენებს ცვლილებებს 2017 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
- 54გ. მე-4 პუნქტი ამოღებულია და მე-3 და 46-ე პუნქტები შეიცვალა 2016 წლის აპრილში *სსბასს-ების გამოყენების* გამოცემის შედეგად. ერთეულმა უნდა გამოიყენოს აღნიშნული ცვლილებები წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, 2018 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული პერიოდებისთვის. ადრეული გამოყენება რეკომენდებულია. თუ ერთეული ცვლილებებს გამოიყენებს 2018 წლის 1 იანვრამდე დაწყებული პერიოდისთვის, მან უნდა გაამჟღავნოს აღნიშნული ფაქტი.
55. როდესაც ერთეული ნერგავს დარიცხვის მეთოდის სსბასს-ებს, როგორც ეს განსაზღვრულია სსბასს 33-ში, *დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) პირველად გამოყენება*, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, ძალაში შესვლის თარიღისათვის, წინამდებარე სტანდარტი გამოიყენება ერთეულის წლიური ფინანსური ანგარიშგებისათვის, რომელიც მოიცავს პერიოდებს, დაწყებულს სსბასს-ების დანერგვის თარიღიდან ან მის შემდეგ.

დასკვნის საფუძველი

წინამდებარე დასკვნის საფუძველი თან ერთვის, მაგრამ არ არის სსბასს 20-ის შემადგენელი ნაწილი.

სტანდარტის მოქმედების სფერო

- დს1. სსბასსს-ს ფასს-თან მიახლოვების პროგრამა სსბასსს-ს სამუშაო პროგრამის მნიშვნელოვანი ელემენტია. სსბასსს-ს პოლიტიკის მიზანია დარიცხვის მეთოდის სსბასს-ის მიახლოება ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემულ ფასს-ებთან, სადაც ეს შესატყვისია საჯარო სექტორის ერთულებისათვის.
- დს2. ბევრ ქვეყანაში კანონმდებლობა ან სხვა ავტორიტეტული წყაროები საჯარო სექტორის ერთეულებისაგან, იქნება ეს მთავრობა თუ კონკრეტული სახელმწიფო მმართველობის ერთეული, მოითხოვს საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ დამტკიცებული ბიუჯეტი(ები), რაზეც მათ გააჩნიათ პასუხისმგებლობა. ასეთი საჯაროობა განპირობებულია სახელმწიფოს გამჭვირვალობის ინტერესიდან გამომდინარე. ზოგიერთ შემთხვევაში, მთავრობამ, ან სახელმწიფო მმართველობის ერთეულმა, რომელიც დამოკიდებული არ არის ასეთ კანონმდებლობაზე ან სხვა ავტორიტეტულ წყაროზე, შესაძლოა ნებაყოფლობით მოახდინოს მისი დამტკიცებული ბიუჯეტის გასაჯაროება. მოცემული სტანდარტი გამოიყენება მთავრობის ან სახელმწიფო მმართველობის ერთეულების მიმართ, რომლებიც ახდენენ საკუთარი დამტკიცებული ბიუჯეტ(ებ)ის გასაჯაროებას, რაზეც მათ გააჩნიათ პასუხისმგებლობა.
- დს3. დამტკიცებული ბიუჯეტი ასახავს მთავრობის ან სხვა ერთეულების მომდევნო პერიოდის გეგმების ფინანსურ მახასიათებლებს და სახელმწიფო ბიუჯეტიდან დასაფინანსებელ საქმიანობებზე ხარჯების გაწევის უფლებამოსილებას წარმოადგენს. ბიუჯეტის შესრულების შედეგების ანგარიშების ზემოთხსენებულ ფინანსურ გეგმებთან შედარება გაზრდის ფინანსური ანგარიშების გამჭვირვალობას და იმ ერთეულებისათვის, რომლებსაც მოეთხოვებათ, ან თვითონ ირჩევენ თავიანთი ბიუჯეტ(ებ)ის გასაჯაროებას, ანგარიშვალდებულების აღსრულების მნიშვნელოვანი ელემენტია. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ჩართვა ფინანსურ ანგარიშგებაში იძლევა ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც მომხმარებლებს დაეხმარება იმის შეფასებაში, იყო თუ არა რესურსები მიღებული როგორც მოსალოდნელი იყო და გამოყენებული, როგორც საკანონმდებლო ან სხვა უფლებამოსილი ორგანოს მიერ მიღებული ბიუჯეტით იყო განსაზღვრული. მოცემული სტანდარტი იყენებს ტერმინს ფაქტობრივი ან

ფაქტობრივი თანხა - ბიუჯეტის შესრულების შედეგად წარმოქმნილი თანხების მისათითებლად. სხვა ქვეყნებში ბიუჯეტის შედეგი, ბიუჯეტის შესრულება ან მსგავსი ტერმინები შეიძლება იყოს გამოყენებული იგივე მნიშვნელობით, რაც გააჩნია ფაქტობრივ და ფაქტობრივ თანხას.

დს4. არაერთი მთავრობა და სახელმწიფო ერთეული, რომელიც საჯაროდ აქვეყნებს თავიანთ დამტკიცებულ ბიუჯეტს(ებს) უკვე წარადგენს ანგარიშს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების შესახებ ფინანსურ ანგარიშგებაში. ბიუჯეტის ფაქტობრივ და გეგმიურ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების ახსნა-განმარტება მათ მიერ შეიტანება (ა) ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში (ბ) მმართველობით განხილვებში და ანალიზში ან ანალოგიურ ანგარიშგებში, ან (გ) ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების ანგარიშში ან მსგავს მოხსენებებში, რომლებიც ქვეყნდება მათ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად. ამ მთავრობების და სახელმწიფო ერთეულებისათვის ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარება საზოგადოდ ხორციელდება ზედამხედველობის იმ დონეზე, რომელიც კანონმდებლობით ან სხვა ავტორიტეტული წყაროებით არის დამტკიცებული, ხოლო არსებითი განსხვავებების განმარტება კეთდება იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება საბიუჯეტო უფლებამოსილების გადაცდომა. სსბასსს მიიჩნევს, რომ ამგვარი პრაქტიკა მისაღებია და მოცემული სტანდარტი შეიმუშავა მისი გაძლიერების მიზნით და მოითხოვს მის მიღებას ყველა იმ ერთეულის მიერ, რომლებიც საჯაროდ აქვეყნებენ დამტკიცებულ ბიუჯეტებს.

დს 5. მოცემული სტანდარტი ერთეულებისგან არ მოითხოვს მათი დამტკიცებული ბიუჯეტების გასაჯაროებას და არც დამტკიცებული და საჯაროდ ხელმისაწვდომი ბიუჯეტების წარდგენის მოთხოვნებს განსაზღვრავს. ეს მოთხოვნა სცილდება სტანდარტის მოქმედების სფეროს. თუმცა სსბასსს-მ აღნიშნა, რომ მომავალში განიხილავს, უნდა შეიქმნას თუ არა სსბასსს-ს სტანდარტი ამ საკითხების დარეგულირების მიზნით.

სახელმწიფო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტის საჭიროება

დს6. სსბასს 1 განმარტავს, რომ ფინანსური ანგარიშგების მიზანი მდგომარეობს ინფორმაციის გამჟღავნებაში, რათა ერთეულმა შეასრულოს მოვალეობა (ა) იყოს ანგარიშვალდებული ისეთ საკითხებში, როგორიცაა ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური საქმიანობის შედეგები და ფულადი სახსრების ნაკადები და (ბ) მიაწოდოს სასარგებლო ინფორმაცია მომსახურების თვითღირებულების, ეფექტიანობის და მიღწევების შედეგების შესაფასებლად. იგი აგრეთვე აღნიშნავს, რომ ფინანსური ანგარიშგება

მომხმარებლებს აწვდის ინფორმაციას ერთეულის მიერ კონონიერად მიღებული ბიუჯეტის დაცვის შესახებ.

- დს7. ამ სტანდარტის გამოქვეყნებამდე სსბასს 1 არ მოითხოვდა, მაგრამ სასურველი იყო ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ასახვა აფინანსურ ანგარიშგებაში, სადაც ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ერთი და იგივე მეთოდით. მიუხედავად ამისა, ზოგიერთ შემთხვევაში ერთეულმა შეიძლება საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს დამტკიცებული ბიუჯეტი, რომელიც ფინანსური ანგარიშგებისაგან განსხვავებული მეთოდით არის მომზადებული და წარდგენილი, და შეიძლება აირჩიოს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში. სსბასს 1 არ იძლევა მითითებებს იმ დეტალების შესახებ, რომლებიც უნდა აისახოს განმარტებით შენიშვნებში და არც ასეთ გარემოებებში ინფორმაციის წარდგენის ფორმატს განსაზღვრავს. სსბასსს მიიჩნევს, რომ სსბასს–ებმა უნდა განიხილოს ამგვარი გარემოებები.
- დს8. მოცემული სტანდარტი გამოიყენება მაშინ, როდესაც ერთეული ვალდებულია, ან თვითონ ირჩევს მისი დამტკიცებული ბიუჯეტ(ებ)ის საჯაროდ გამოაქვეყნებას. სსბასსს მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევებში, კანონმდებლობის ან სხვა ავტორიტეტული წყაროს მიზანი და გავლენა, ან თვითონ ერთეულის ნებაყოფლობითი ქმედება ნათელია – ერთეული ბიუჯეტის შესრულებისა და ბიუჯეტთან შესაბამისობის მხრივ საჯაროდ ანგარიშვალდებულია. სსბასსს აგრეთვე მიიჩნევს, რომ ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შესახებ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა ასეთი ერთეულების ანგარიშვალდებულების შესასრულებლად აუცილებელი ელემენტია და ფინანსურ ანგარიშგებაში სათანადო განმარტებითი შენიშვნების უზრუნველყოფის მიზნით, სსბასსს–ში უნდა ჩაიდოს შესაბამისი მოთხოვნები.
- დს9. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების განმარტებით შენიშვნებში ასახვის შესახებ მოცემული სტანდარტის მოთხოვნების შესრულება, სადაც ფინანსური ანგარიშგება და ბიუჯეტი მზადდება ერთი და იგივე მეთოდით, უფრო მეტად ხელს შეუწყობს ფინანსური საქმიანობების შედეგებზე ერთეულის ანგარიშვალდებულების შესრულებას. სტანდარტის მოთხოვნების შესრულება, როდესაც ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება მზადდება განსხვავებული მეთოდებით, გააძლიერებს ფინანსური ანგარიშგების როლს ერთეულის მოვალეობის - იყოს ანგარიშვალდებული დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის მხრივ - შესრულებაში.
- დს10. სსბასსს–მ განიხილა საკითხი იმასთან დაკავშირებით, ამ სტანდარტმა უნდა მოითხოვოს თუ წახალისოს სახელმწიფო სექტორის ერთეულების

მხრიდან, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა, მათი დამტკიცებული ბიუჯეტების გასაჯაროება და ამ სტანდარტის მოთხოვნების შესრულება. სსბასსს-მ აღნიშნა, რომ ამ სტანდარტის მიზანს არ წარმოადგენდა იმის განსაზღვრა, უნდა მოხდეს თუ არა დამტკიცებული ბიუჯეტების გასაჯაროება, და დაასკვნა, რომ მან არ უნდა დააწესოს ასეთი მოთხოვნები ერთეულებზე, ან წვლილი შეიტანოს არსებულ წახალისებებში იმ დრომდე, ვიდრე სსბასსს დამატებით არ განიხილავს მის როლს ბიუჯეტის ანგარიშგების მოთხოვნების სრუყოფაში. სსბასსს-მ აგრეთვე აღნიშნა, რომ სახელმწიფო სექტორის ერთეულებს, რომლებიც საჯაროდ არ აქვეყნებენ მათ დამტკიცებულ ბიუჯეტებს, არ ეკრძალებათ ამ სტანდარტის მოთხოვნების შესრულება თუ ისინი ამას თვითონ ირჩევენ.

შედარებები დამტკიცებულ ბიუჯეტთან

დს11. მოცემული სტანდარტი მოითხოვს თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტების და ფაქტობრივი თანხების განმარტებით შენიშვნებში ასახვას ბიუჯეტთან შედარების მეთოდით. აღნიშნული აძლიერებს სსბასსს-1-ში იდენტიფიცირებულ ანგარიშვალდებულების შესაბამისობის კომპონენტს. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები შეძლებენ თავდაპირველ და/ან საბოლოო დამტკიცებულ ბიუჯეტებს და მათ ეკვივალენტურ ფაქტობრივ თანხებს შორის განსხვავებების (ხშირად ბუღალტრულ აღრიცხვაში მოიხსენიება „გადახრად“) იდენტიფიცირებასა და განმარტებით შენიშვნებში წარდგენილი საკანონმდებლო ზედამხედველობის ყველა დონის მიხედვით განსაზღვრას.

დს12. მოცემული სტანდარტი მოითხოვს ბიუჯეტის გეგმიურ და ფაქტობრივ თანხებს შორის არსებითი განსხვავებების განმარტებას (პოზიტიურის თუ ნეგატიურის) ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, თუ ამგვარი განმარტება უკვე შეტანილი არ არის ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამოცემულ სხვა საჯაროდ ხელმისაწვდომ დოკუმენტებში. სსბასსს მიიჩნევს, რომ ამ ინფორმაციის განმარტებით შენიშვნებში ასახვა გააუმჯობესებს ფინანსური ანგარიშგების გამჭვირვალობას, და გააძლიერებს იმ ერთეულების ანგარიშვალდებულებას, რომლებიც ახდენენ საკუთარი ბიუჯეტების გასაჯაროებას. ამგვარი განსხვავებების ახსნა-განმარტება შეიძლება აისახოს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამოცემულ მმართველობითი განხილვის და ანალიზის ანგარიშში, საოპერაციო საქმიანობის განხილვის ანგარიშში, ბიუჯეტის შედეგების ან ანალოგიურ მოხსენებაში. სსბასსს მიიჩნევს რომ, თუ ახსნა-განმარტებები მოცემულია ამგვარ ანგარიშებში და ფინანსური ანგარიშგების

განმარტებით შენიშვნებში ამ ანგარიშებზე გაკეთებულია მითითებები, საჭირო აღარ არის განმარტებების ასახვა ფინანსურ ანგარიშგებაში.

თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის ასახვა განმარტებით შენიშვნებში

დს13. ბიუჯეტები მზადდება საანგარიშო პერიოდის დაწყებამდე და ბუნებრივმა კატაკლიზმებმა და პოლიტიკური ან ეკონომიკური გარემოებების ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტის კორექტირების საჭიროება საბიუჯეტო პერიოდის განმავლობაში. ზოგიერთ ქვეყანაში ამგვარი ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება (განსაზღვრულ ფარგლებში) შეიძლება მიენიჭოს ფინანსთა მინისტრს ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე პირს. სხვა ქვეყნებში ამგვარი ცვლილებები უნდა დაამტკიცოს საკანონმდებლო ორგანომ. უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებული ცვლილებები მოიცავს საანგარიშგებო პერიოდის ბიუჯეტის საბოლოო ვარინატს. სსბასსს მიიჩნევს, რომ თავდაპირველი და საბოლოო ბიუჯეტის განმარტებით შენიშვნებში ასახვა საჭიროა იმისათვის, რომ ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებმა იცოდნენ საანგარიშო პერიოდში თავდაპირველ ბიუჯეტში განხორციელებული და დამტკიცებული ცვლილებების შინაარსი და მოცულობა.

დს14. ცვლილებები თავდაპირველ ბიუჯეტში შეიძლება გამოწვეული იყოს პოლიტიკის ცვლილებით, რომელიც მოიცავს მთავრობის პრიორიტეტების ცვლილებას საანგარიშგებო პერიოდში ან არაპროგნოზირებადი ეკონომიკური გარემოებებით გამოწვეულ ცვლილებებს. სსბასსს მიიჩნევს, რომ თავდაპირველ და საბოლოო ბიუჯეტებს შორის საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი ცვლილებების მიზეზების განმარტების ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ასახვა, იმის ჩათვლით თავდაპირველ და საბოლოო ბიუჯეტებს შორის ცვლილებები გამოწვევული ოყო ბიუჯეტის მუხლებს შორის მომხდარი გადაანაწილების თუ სხვა ფაქტორების შედეგად, საჭიროა ანგარიშვალდებულების შესასრულებლად. და ცვალებადი ეკონომიკური გარემოებების და პოლიტიკის ცვლილებების ფინანსური შედეგების ანალიზისათვის გამოსადეგ ინფორმაციას იძლევა. ახსნა-განმარტება შეიძლება მოცემული იყოს ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში ან ანგარიშში, რომელიც გამოიცემა ფინანსური ანგარიშგების თარიღამდე, თარიღით ან მასთან ერთად. ზემოთაღნიშნულის მიხედვით, ბიუჯეტის გადახრებთან დაკავშირებით, სსბასსს მიიჩნევს რომ, თუ ახსნა-განმარტებები მოცემულია ამგვარ ანგარიშებში და ამ ანგარიშებზე ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გაკეთებულია მითითებები, საჭირო აღარ არის განმარტებების გამოორება ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბიუჯეტის მეთოდის დანერგვა და ბიუჯეტის და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდების საფუძვლების შედარება

დს15. ერთეულებმა ფინანსური ანგარიშგების და დამტკიცებული ბიუჯეტების მოსამზადებლად შეიძლება გამოიყენონ ბუღალტრული აღრიცხვის განსხვავებული მეთოდები. კერძოდ, ზოგიერთი ერთეული, რომელიც ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად იყენებს ბუღალტრული აღრიცხვის დარიცხვის მეთოდს, ბიუჯეტს ამზადებს საკასო მეთოდით. განსხვავებები საბიუჯეტო საფუძველს და ფინანსურ ანგარიშგებას შორის შეიძლება წარმოიშვას განსხვავებული დროის, ერთეულების და კლასიფიკაციის გამო.

დს16. მოცემული სტანდარტი მოითხოვს ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების წარდგენას ერთი და იგივე საფუძველზე (ფორმატი, ტერმინოლოგია, საბიუჯეტო საფუძველი და კლასიფიკაცია) და იგივე სუბიექტებისათვის და პერიოდისათვის, რომლისთვისაც შედგენილია დამტკიცებული ბიუჯეტი. ეს იძლევა საშუალებას ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით ნათლად გამოჩნდეს თუ როგორ იქნა ფაქტობრივი ხარჯები გაწეული ბიუჯეტის კანონიერ ჩარჩოებში. ეს უზრუნველყოფს, რომ განმარტებით შენიშვნებში ინფორმაცია აისახოს შედარების მეთოდით და ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით მოხდეს დამტკიცებულ ბიუჯეტთან შესაბამისობის წარმოჩენა. ამის შედეგად, ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები უნდა გადაანგარიშებულ იქნას, რათა შესაძლებელი იყოს დამტკიცებულ ბიუჯეტთან მათი შედარება, როდესაც ადგილი აქვს განსხვავებებს მეთოდში, დროში ან ერთეულებში.

დს 17. როდესაც ფინანსური ანგარიშგება და ბიუჯეტი მომზადებული არ არის შედარების მეთოდით, რომ მომხმარებლებმა უკეთესად შეძლონ ბიუჯეტსა და ფინანსურ ანგარიშგებას შორის არსებული კავშირის გაგება, წინამდებარე სტანდარტი მოითხოვს, რომ ბიუჯეტის მეთოდით წარდგენილი ფაქტობრივი თანხების შედარება მოხდეს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ეკვივალენტურ თანხებთან. და ცალკე აისახოს ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდში, დროში და ერთეულების მიხედვით არსებული განსხვავებები. თუ ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ერთი და იგივე მეთოდით, საჭირო აღარაა განსხვავებების შედარება.

ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი ინფორმაციის წარდგენა

დს18. მოცემული სტანდარტით ნებადართულია ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შესახებ ინფორმაციის წარდგენა ცალკე ანგარიშგებაში, ან მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუჯეტი და

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შედარების მეთოდით საბიუჯეტო სვეტის სახით არსებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. წარდგენის მეთოდში არსებული მოქნილობა საშუალებას აძლევს ერთეულებს მოახდინონ შედარების წარდგენა ისეთი ფორმით, რომელიც ყველაზე კარგად პასუხობს მომხმარებელთა საჭიროებებს და ამავე დროს ინარჩუნებს საკუთარ გამორჩეულ როლს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვის გამო. დამატებითი სვეტის აკრძალვა იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება შედგენილია განსხვავებული მეთოდით საჭიროა იმისათვის, რომ ბიუჯეტის გეგმიურ და ფაქტობრივ თანხებს შორის შედარება განხორციელდეს შედარების მეთოდით.

თავდაპირველი გამოყენება

დს19. მოცემული სტანდარტი გამოიცა სსბასსს–ს მიერ 2006 წლის დეკემბერში და მისი გამოყენება სავალდებულო არა არის 2009 წლის 1 იანვარს, ან მას შემდგომ დაწყებულ პერიოდებამდე. გადავადებული გამოყენება მიზნად ისახავს ერთეულებისთვის საკმარისო დროის გამოყოფას, რომ მათ შეიმუშავონ და საჭიროების შემთხვევაში მოახდინონ მათი საბიუჯეტო და საფინანსო ანგარიშგების პროცედურების, დროის და საადრიცხვო არეალის მიხედვით შეჯერება. ამ სტანდარტის ადრეული მიღება რეკომენდებულია.

დს20. სსბასსს–მ განიხილა ამ სტანდარტის გამოყენებისგან გათავისუფლების შესაძლებლობა სსბასსს–ის მიღებიდან ორი წლის განმავლობაში, მაგრამ მიიჩნია, რომ ამგვარი გათავისუფლება საჭირო არ არის. ამის მიზეზია ის, რომ ერთეულები განიხილავენ და ჩართავენ სსბასსს–ების მიღების თავდაპირველ გრაფიკში მოცემული სტანდარტის მოთხოვნებს.

შესადარისი თანხების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების ვალდებულებისგან გათავისუფლება

დს21. მოცემული სტანდარტი არ მოითხოვს, რომ მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში აისახოს გასული პერიოდის ფაქტობრივი და გეგმიური ბიუჯეტების შედარება, ისევე როგორც გასული პერიოდის ბიუჯეტის ფაქტობრივ და გეგმიურ თანხებს შორის არსებული განსხვავებების ახსნა–განმარტება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში.

დს22. მოცემულ სტანდარტში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ანგარიშვალდებულებასთან დაკავშირებით ერთეულის მოვალეობის შესრულების ხელშეწყობაზე, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდისათვის შესაბამისობაში იყოს დამტკიცებულ ბიუჯეტთან. ამ სტანდარტით მოთხოვნილი არაერთი განმარტებითი შენიშვნა შეიძლება მოიძებნოს სხვა დოკუმენტებში, რომლებიც გამოიცემა ფინანსურ ანგარიშგებასთან

ერთად, მაგრამ არ წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების ნაწილს. სსბასსს შიშობს, რომ შესადარისი ინფორმაციის გამჟღავნებაზე მოთხოვნების დაწესება გამოიწვევს ინფორმაციით გადატვირთვას და ანგარიშგების მოთხოვნებს ძალიან გაართულებს და არ დააკმაყოფილებს ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ინტერესებს.

სსბასს 24- ის გადახედვა 2016 წლის აპრილში სსბასსს-ს მიერ გამოცემული სსბასს-ების გამოყენების შედეგად

დს23. სსბასსს-მ 2016 წლის აპრილში გამოსცა *სსბასს-ების გამოყენება*. ამ დოკუმენტით, ყველა სსბასსს-ში იქნა ცვლილებები შეტანილი შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- (ა) თითოეული სტანდარტის მოქმედების სფეროდან ამოღებულია სტანდარტული პუნქტები სსბასსს-ების „საჯარო სექტორის ერთეულებისთვის, გარდა სახელმწიფო კომერციული საწარმოებისა (სკს)“ გამოყენების შესახებ;
- (ბ) ტერმინი „სკს“ შეცვლილია ტერმინით „საჯარო სექტორის კომერციული ერთეული“, საჭიროების შემთხვევაში; და
- (გ) ცვლილებები იქნა შეტანილი *საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების წინასიტყვაობის* მე-10 პუნქტში, იმ საჯარო სექტორის ერთეულების პოზიტიური აღწერით, რომლისთვისაც არის განკუთვნილი სსბასსს-ები.

ამ ცვლილებების მიზნები განხილულია სსბასს 1-ის დასკვნის საფუძველში.

საილუსტრაციო მაგალითები

წინამდებარე მაგალითები თან ერთვის, მაგრამ არ წარმოადგენს სსბასს 24-ის ნაწილს.

ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგება

**XX მთავრობის ბიუჯეტი საკასო საფუძველზე 20XX წლის
31 დეკემბრის მდგომარეობით
(გადახდების კლასიფიკაცია ფუნქციონალური
კატეგორიების მიხედვით)**

შენიშვნა: ბიუჯეტის შედგენის და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები განსხვავებულია. ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების შედარება ამ ანგარიშგებაში მომზადებულია ბიუჯეტის მეთოდით.

(ფულად ერთეულებში)	საბიუჯეტო თანხები		ფაქტობრივი თანხები შედარების მეთოდით	*განსხვავება: საბოლოო ბიუჯეტი და ფაქტობრივი ბიუჯეტი
	თავდაპირველი	საბოლოო		
შემოსულობები				
გადახადები	X	X	X	X
შეთანხმებები დახმარებაზე				
საერთაშორისო ორგანიზაციები	X	X	X	X
სხვა გრანტები და დახმარებები	X	X	X	X
შემოსულობები: სესხები	X	X	X	X
შემოსულობები: ძირითადი აქტივების რეალიზაცია	X	X	X	X
სავაჭრო საქმიანობა	X	X	X	X
სხვა შემოსულობები	X	X	X	X
სულ შემოსულობები	X	X	X	X
გადასახდელები				
ჯანდაცვა	(X)	(X)	(X)	(X)
განათლება	(X)	(X)	(X)	(X)
საზოგადოებრივი	(X)	(X)	(X)	(X)
წესრიგი/უსაფრთხოება				
სოციალური დაცვა	(X)	(X)	(X)	(X)
თავდაცვა	(X)	(X)	(X)	(X)

* განსხვავების“ სვეტი არ არის სავალდებულო. თუმცა შედარება ფაქტობრივ და თავდაპირველ ან საბოლოო ბიუჯეტებს შორის შეიძლება დაემატოს, თუ ნათლად განისაზღვრება მისი დამატების საჭიროება.

	საბიუჯეტო თანხები		ფაქტობრივი თანხები შედარების მეთოდით	* განსხვავება: საბოლოო ბიუჯეტი და ფაქტობრივი ბიუჯეტი
	თავდაპირ ველი	საბოლოო		
(ფულად ერთეულებში)				
საბინაო და კომუნალური მოწყობა	(X)	(X)	(X)	(X)
გამაჯანსაღებელი, კულტურული და რელიგიური საქმიანობა	(X)	(X)	(X)	(X)
ეკონომიკური საქმიანობა	(X)	(X)	(X)	(X)
სხვა	(X)	(X)	(X)	(X)
სულ გადახდები	(X)	(X)	(X)	(X)
წმინდა შემოსულობები/(გადასახდლები)	X	X	X	X

მიდგომა, რომელიც ეყრდნობა დამატებითი სვეტის გამოყენებას

YY მთავრობის ბიუჯეტი 20XX წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
წლიური ბიუჯეტი და ფინანსური ანგარიშგება ეყრდნობა დარიცხვის
მეთოდს

(საილუსტრაციოდ მოცემულია მხოლოდ ფინანსური საქმიანობის
ანგარიშგება. ანალოგიური წარდგენის ფორმა მიღებულია სხვა ფინანსური
ანგარიშგებისთვის)

ფაქტორი 20XX-1	(ფულად ერთეულებში)	ფაქტორი 30 20XX	საბოლოო ბიუჯეტი 20XX	თავდაპირველი ბიუჯეტი 20XX	*განსხვავება: თავდაპირველი ბიუჯეტი და ფაქტობრივი ბიუჯეტი
X	შემოსავალი				
X	გადახადები	X	X	X	X
X	მოსაკრებლები, ჯარიმები, საურავები და ლიცენზიები	X	X	X	X
X	შემოსავლები გაცვლითი ოპერაციებიდან	X	X	X	X
X	ტრანსფერები სხვა მთავრობებიდან	X	X	X	X
X	სხვა შემოსავლები	X	X	X	X
X	სულ შემოსავლები	X	X	X	X
	ხარჯი				
(X)	ხელფასები, მომუშავეთა შელავათები	(X)	(X)	(X)	(X)
(X)	გრანტები და სხვა ტრანსფერები	(X)	(X)	(X)	(X)
(X)	მარაგები და სხვა სახარჯი საქონელი	(X)	(X)	(X)	(X)
(X)	ცვეთის/ამორტიზაციის ხარჯი	(X)	(X)	(X)	(X)
(X)	სხვა ხარჯები	(X)	(X)	(X)	(X)

* “განსხვავების“ სვეტი არ არის სავალდებულო. თუმცა შედარება ფაქტობრივ და თავდაპირველ ან საბოლოო ბიუჯეტებს შორის შეიძლება დაემატოს თუ ნათლად განისაზღვრება მისი დამატების საჭიროება.

ფაქტორი 20XX-1	(ფულად ერთეულებში)	ფაქტორი 20XX	საბოლოო ბიუჯეტი 20XX	თავდაპირველი ბიუჯეტი 20XX	*განხვავება: თავდაპირველი ბიუჯეტი და ფაქტობრივი ბიუჯეტი
(X)	ფინანსური დანახარჯები	(X)	(X)	(X)	(X)
(X)	სულ ხარჯები	(X)	(X)	(X)	(X)
X	მეკავშირე ერთეულების მოგების წილი	X	X	X	X
X	ნამეტი (დეფიციტი) პერიოდისათვის	X	X	X	X
X	დაკავშირებული: მაკონტროლებელი ერთეულის მფლობელებთან	X	X	X	X
X	უმცირესობის წილთან	X	X	X	X
X		X	X	X	X

ამონარიდი X მთავრობის განმარტებითი შენიშვნებიდან

(X მთავრობა წარმოადგენს დამტკიცებულ ბიუჯეტს საკასო მეთოდით და ფინანსურ ანგარიშგებას დარიცხვის მეთოდით).

1. ბიუჯეტი დამტკიცებულია საკასო მეთოდით ფუნქციონალური კლასიფიკაციის გამოყენებით. დამტკიცებული ბიუჯეტი მოიცავს ფისკალურ პერიოდს 20XX წლის პირველი იანვრიდან 20XX წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და მოიცავს სახელმწიფო მმართველობის სექტორში შემავალ ყველა ერთეულს. სახელმწიფო მმართველობის სექტორი მოიცავს ყველა ერთეულს, რომელიც XX განმარტებით შენიშვნებში სახელმწიფო უწყებებს განეკუთვნება (მომზადებულია სსბასს 6-ის, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისად.)
2. თავდაპირველი ბიუჯეტი საკანონმდებლო აქტით დამტკიცდა (თარიღით) და დამატებითი ასიგნება დამტკიცდა (თარიღით) ჩრდილოეთ რეგიონში მომხდარი (თარიღით) მიწისძვრის შედეგად მიყენებული ზარალის შემსუბუქების მიზნით. თავდაპირველი ბიუჯეტის მიზნები და პოლიტიკა და შემდგომი ცვლილებები უფრო

დეტალურად მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად გამოცემულ საოპერაციო მიმოხილვის და ბიუჯეტის შედეგების ანგარიშებში.

3. ჯანდაცვის სექტორში ფაქტობრივი ხარჯების გადამეტება საკანონმდებლო ორგანოს მიერ დამტკიცებულ საბოლოო ბიუჯეტის მოცულობაზე 15 პროცენტით (რაც 25 პროცენტით მეტია თავდაპირველ ბიუჯეტზე) გამოწვეულია მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებით. სხვა არსებითი განსხვავებები საბოლოო დამტკიცებულ ბიუჯეტს და ფაქტობრივ თანხებს შორის არ ფიქსირდება.
4. ბიუჯეტის შედგენის და ბუღალტრული აღრიცხვის მეთოდები განსხვავებულია. საჯარო სექტორის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით და გამოყენებულია ფინანსური საქმიანობების შედეგების ანგარიშგებაში მოცემული ხარჯების შესაბამისი კლასიფიკაცია, ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდირებულია 20XX 1 იანვრიდან 20XX წლის 31 დეკემბრის ფისკალური პერიოდისათვის და მოიცავს ყველა კონტროლირებულ ერთეულს, სახელმწიფო ბიზნეს ერთეულების ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება განსხვავდება საკასო მეთოდით დამტკიცებული ბიუჯეტისგან, რომელიც ეხება მხოლოდ სახელმწიფო მმართველობის სექტორს, რომელიც გამორიცხავს სახელმწიფო ბიზნეს ერთეულებს და კონკრეტულ სახელმწიფო არასაბაზრო ერთეულებს და საქმიანობებს.
5. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები გადაანგარიშებულია დარიცხვის მეთოდიდან საკასო მეთოდით და ბიუჯეტთან ერთიანი მეთოდოლოგიის უზრუნველყოფის მიზნით, გადაჯგუფებულია ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით. გარდა ამისა ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული თანხები დაკორექტირდა მიმდინარე ასიგნებებთან დაკავშირებით, დროში არსებული განსხვავებების და ერთეულების (სახელმწიფო კომერციული საწარმოების) დაფარვის კუთხით არსებული განსხვავებების ასახვის მიზნით, რათა ფაქტობრივი თანხების გამოსახვა მოხდეს საბოლოოდ დამტკიცებულ ბიუჯეტთან შედარების მეთოდით. ამგვარი კორექტირებების თანხა ასახულია ქვემოთმოცემულ ცხრილში.
6. ქვემოთ მოცემულია ფაქტობრივი თანხების შეჯერება შესადარის საფუძველზე, როგორც ეს ასახულია ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში და ფაქტობრივი თანხები ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში 20XX წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფინანსური ანგარიშგებები და

საბიუჯეტო დოკუმენტები მომზადდა ერთი და იგივე პერიოდისათვის. არსებობს განსხვავება სუბიექტებს შორის: ბიუჯეტი მომზადდა საერთო სახელმწიფო სექტორისთვის, ხოლო ფინანსური ანგარიშგებები აერთიანებს სახელმწიფოს მიერ კონტროლირებულ ყველა სუბიექტს. ადგილი აქვს აგრეთვე განსხვავებას საფუძველში: ბიუჯეტი მომზადებულია საკასო მეთოდით, ხოლო ფინანსური ანგარიშგებები ეყრდნობა დარიცხვის მეთოდს.

	საოპერაციო	საფინანსო	საინვესტიციო	სულ
ფაქტობრივი ხარჯები შედარების მეთოდით, როგორც ეს მოცემულია ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიშგებაში	X	X	X	X
განსხვავებები მეთოდებში	X	X	X	X
განსხვავებები დროში	-	-	-	-
განსხვავებები ერთეულებში	X	X	X	X
ფაქტობრივი თანხა ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში	X	X	X	X

(მოცემული შედარება შეიძლება შეტანილ იქნას უშუალოდ ბიუჯეტის გეგმიური და ფაქტობრივი თანხების ანგარიშგებაში ან განმარტებით შენიშვნებში).

სასურველი განმარტებითი შენიშვნა:—B მთავრობისთვის საკასო მეთოდით შედგენილი ორწლიანი ბიუჯეტი 20XX წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ფულად ერთეულებში)	თავდაპირველი ორწლიანი ბიუჯეტი	პირველი წლის ბიუჯეტი	პირველი წლის კორექტირებული ბიუჯეტი	პირველი წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი შედარების მეთოდით	მეორე წლის დაჩენილი ბალანსი	მეორე წლის ბიუჯეტი	მეორე წლის კორექტირებული ბიუჯეტი	მეორე წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი შედარების მეთოდით	*განსხვავება : ბიუჯეტი და ფაქტობრივი თანხები საბიუჯეტო პერიოდში
შემოსულობები									
გადასახადები	X	X	X	X	X	X	X	X	X
შეთანხმებები დახმარებაზე	X	X	X	X	X	X	X	X	X
შემოსულობები: სესხები	X	X	X	X	X	X	X	X	X
შემოსულობები: ძირითადი აქტივების რეალიზაცია	X	X	X	X	X	X	X	X	X
სავაჭრო საქმიანობა									
სხვა შემოსულობები	X	X	X	X	X	X	X	X	X

* მოცემული სვეტი არ არის სავალდებულო. თუმცა სათანადოდ გაკეთებული შედარება ფაქტობრივ და თავდაპირველ ან საბოლოო ბიუჯეტებს შორის შეიძლება დაემატოს.

(ფულად ერთეულებში)	თავდაპირველი ორწლიანი ბიუჯეტი	პირველი წლის ბიუჯეტი	პირველი წლის კორექტირებული ბიუჯეტი	პირველი წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი შედარების მეთოდით	მეორე წლის დაჩენილი ბალანსი	მეორე წლის ბიუჯეტი	მეორე წლის კორექტირებული ბიუჯეტი	მეორე წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი შედარების მეთოდით	*განსხვავება : ბიუჯეტი და ფაქტობრივი თანხები საბიუჯეტო პერიოდში
სხვა შემოსულობები	X	X	X	X	X	X	X	X	X
გადასახდელები									
ჯანდაცვა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
განათლება	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
სოციალური დაცვა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
თავდაცვა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
საბინაო და კომუნალური მოწყობა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
გამაჯანსაღებელი, კულტურული, რელიგიური საქმიანობა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
ეკონომიკური საქმიანობა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)

(ფულად ერთეულებში)	თავდაპირველი ორწლიანი ბიუჯეტი	პირველი წლის ბიუჯეტი	პირველი წლის კორექტირებული ბიუჯეტი	პირველი წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი შედარების მეთოდით	მეორე წლის დაჩენილი ბალანსი	მეორე წლის ბიუჯეტი	მეორე წლის კორექტირებული ბიუჯეტი	მეორე წლის ფაქტობრივი ბიუჯეტი შედარების მეთოდით	*განსხვავება : ბიუჯეტი და ფაქტობრივი თანხები საბიუჯეტო პერიოდში
სხვა	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
სულ გადასახდელები	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)	(X)
წმინდა შემოსულობები/ (გადასახდელები)	X	X	X	X	X	X	X	X	X